ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325358001**

თარიღი:**24/12/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანები“-ს 2025 წლის 24 დეკემბრის N126 (24.12.2025წ N13/122535872-12) მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანება“-ს (ს/კ 424256236), ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება: ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩა N44-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N3 და N4 (საკადასტრო კოდი: 62.09.63.538).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი